

რუსულან ამირეჯიბი

რას ნიშნავს იყო ქართველი?

10 ივნისს ერთი წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გონა ფიფიამ კატეგორიულად მოითხოვა ინფორმაცია მთავრობის ყველა წევრისა და მათი მშობლების ეთნიკური წარმოშობისა და რელიგიური მრწამსის შესახებ.

ყოველი ჩვენგანი თავის თავს რომელიმე ჯგუფს მიაკუთვნებს. ამას იდენტობა ეწოდება. იდენტობა მრავალგვარი არსებობს: სოციალური, გენდერული, რელიგიური, ენობრივი და ა.შ ეთნიკური მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია, მაგრამ, ჩანს, ყველაზე მეტად აღელვებს ჩვენს საზოგადოებას, ვინაიდან ბევრ ქართველს, მათ შორის პოლიტიკოსს მისადმი ისეთივე დამოკიდებულება აქვს, როგორც გონა ფიფიას, მაგრამ მხოლოდ ფიფია აღმოჩნდა საკმარისად “ქაჯი” ამის საჯაროდ გამოსათქმელად. არადა, რა იმედისმომცემი დასაწყისი იყო პასპორტიდან ეროვნების გრაფის ამოღება. . .

მაშინ ამ მოთხოვნამ ხელისუფლების და საზოგადოების ზოგი წარმომადგენლის აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ მერე ეს ამბავი ყველას მიავიწყდა. მე კი იმიტომ მინდა შეგახსენოთ, რომ ღროა, დაფვიქრდეთ იმაზე, რას ნიშნავს იყო ქართველი; რას ნიშნავს არჩეული პარლამენტარის ეს ნათქვამი პოლიტიკურად; რა როლი აკისრია ჩვენს იდენტობას ეროვნული სახელმწიფოსა და მისი არაქართველი მოსახლეობისადმი დამოკიდებულებაში. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გავარკვიოთ ქართველებმა და საქართველოს არაქართველ მოსახლეობასაც გავაგებინოთ, პირდაპირ ვუთხრათ, მეორეხარისხოვან მოქალაქეებად ვთვლით მათ თუ ჩვენს თანასწორუფლებიანებად. სამოქალაქო საზოგადოებაში კი თანასწორუფლებიანობა გულისხმობს არა მხოლოდ ტოლერანტულ დამოკიდებულებას სხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი, არამედ იმის გაცნობიერებასაც, რომ ნებისმიერი სხვა მიდგომა საფრთხეს უქმნის ეროვნულ სახელმწიფოს. მე კი ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უბრალო ადამიანებს კი არა, პოლიტიკური ელიტის ზოგ წარმომადგენელსაც კი არ ესმის, რა აერთიანებს ხალხს ერთად და რა განსხვავებაა ეთნიკურ ჯგუფსა და ერს შორის. მგონია, რომ როცა ისინი საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე საუბრობენ, მხოლოდ ქართველი ეთნოსის ინტერესებს გულისხმობენ, და როცა ეროვნებათშორისი ურთიერთობების ჰარმონიზაციას ახსენებენ, გულისხმობენ რაღაც აბსტრაქტულს და ავიწყდებათ, რომ საქმე ეხება კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფებს თავიანთი ისტორიით, ურთიერთდამოკიდებულებითა და სპეციფიკური პრობლემებით. ჩვენ ხომ რეალურ სამყაროში ვცხოვრობთ! ხოდა გაგუსწოროთ თვალი ამ რეალობას და გადავწყვიტოთ, ეთნიკური მრავალფეროვნებისაგან ერთი ერის შექმნა გვინდა თუ გავაგრძელოთ საბჭოური მიდგომა: სხვა ეთნოსებს ფორმალური ნიშნებით (მაგალითად, მამის ეთნიკური წარმოშობის მიხედვით) პირველ-მეორეზე გავათვლევინოთ.

საქართველო ჯერ კიდევ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესშია და ამ დროს მთავარია მისი ყოველი მოქალაქისთვის ეროვნული იდენტობის შექმნა, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ეთნიკური იდენტობის აღმოფხვრას, ვინაიდან ადამიანს შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნული იდენტობა ჰქონდეს. ჰაფსბურგების მმართველობის პირობებში ავსტრიელებს იდენტობის პრობლემა არ ჰქონიათ. აქ ცხოვრობდნენ გერმანელები, უნგრელები, ჩეხები, სლოვაკები და სხვ. რომლებიც იმავედროულად ავსტრიელებიც იყვნენ. იდენტობის პრობლემა არა აქვს ჩემს ამერიკელ მეუღლეს, რომელიც ეთნიკურად ირლანდიელია და არც კანადელ ფრანგებს. არც ქართველი ებრაელების წინაშე დამდგარა ეს პრობლემა. უამრავი სხვა მაგალითის მოხმობა შეიძლება საქართველოს და მსოფლიოს ძველი თუ უახლესი ისტორიიდან იმისა, თუ როგორ შეუძლიათ ეროვნულ და ეთნიკურ იდენტობებს მშვიდობიანი თანაარსებობა. ჩვენში კი ერის ლენინურ-სტალინური გაგება ბატონობს და საქართველო ჯერ კიდევ შორს არის ეროვნულ და ეთნიკური იდენტობების ჰარმონიისაგან.

როცა ცივილიზებულ სახელმწიფოში ერზე საუბრობენ, ეთნიკური ერთობა უკანა პლანზე გადადის და წინ წამოიწევეს სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები და კულტურული მარკერები, ვინაიდან ადამიანის ეროვნული იდენტობა გენეტიკიდან კი არ მომდინარეობს, არამედ მის სოციალიზაციასთან ერთად ყალიბდება და, თუ ამ პროცესში ყველა ეთნიკურ ჯგუფს საერთო ეროვნული ინტერესების გარშემო არ გაგაერთიანებთ ერის ინტეგრაცია არასოდეს მოხდება.

გლობალიზაცია და საერთაშორისო მიგრაცია ამრავლებს შერეულ ქორწინებებს და შესაბამისად, ორი ან მეტი იდენტობის მქონე ადამიანთა რიცხვსაც. რატომ უნდა დავაყენოთ ადამიანი საბჭოური ტრადიციის მიხედვით, რთული არჩევანის წინაშე, იქონიოს მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი? ნუ მივანიჭებთ ეთნიკურ იდენტობას ყველაზე მეტ მნიშვნელობას, ეს მნიშვნელობა ეროვნულ იდენტობას მივანიჭოთ, მითუმეტეს, რომ ეს ორი იდენტობა ერთმანეთს ხელს სულაც არ უშლის.

მე ასე ვფიქრობ და ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ამ საკითხებზე ორი აზრი არ არსებობს. ჩემი აზრების სხვითვის თავზე მოხვევას არ ვაპირებ, მაგრამ სხვა შეხედულებების მოსმენა კი ძალიან მაინტერესებს. მინდა გავიგო, ქართველების და არაქართველების აზრი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს იყო ქართველი; შეიძლება თუ არა არსებობდეს ქართველი სომეხი ან ქართველი აზერბაიჯანელი, შეიძლება თუ არა როდესმე საქართველოს პრეზიდენტად ეთნიკური არაქართველი აირჩიონ.

და კიდევ ერთი, თუ ქართველ ქალს ბავშვი ესკიმოსისაგან ეყოლა, რომელიც ბავშვის დაბადებისთანავე გაუჩინარდა, ბავშვი კი შუაგულ ვერაზე გაიზარდა, ის ქართველია თუ ესკიმოსი?